

შეთანხმება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა და შპს „რომპეტროლ საქართველოს“ შორის 2016 წლის 23 დეკემბერს დადებულ №323 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე

ქ. ზუგდიდი

01 დეკემბერი, 2017 წელი

ერთი მხრივ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ლაშა გოგიას სახით და მეორე მხრივ, შპს „რომპეტროლ საქართველო“ (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ზამანბეკ მირზაიანოვის სახით, 2016 წლის 23 დეკემბერს დადებულ №323 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულება) მე-8 მუხლისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის 2017 წლის 30 ნოემბრის №67-02 წერილის გათვალისწინებით ვთანხმდებით შემდეგზე:

აღწერილობითი ნაწილი:

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონისა და „გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის №987-III დადგენილების საფუძველზე გასაუქმებელი მუნიციპალიტეტების (ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის) გაერთიანების შედეგად შეიქმნა ახალი მუნიციპალიტეტი – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

„2017 წელს გაუქმებული მუნიციპალიტეტების საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციისა და 2017 წელს შექმნილი შესაბამისი მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 აგვისტოს №416 დადგენილების თანახმად, გაუქმებული მუნიციპალიტეტების მიერ აღებული ვალდებულებების უფლებამონაცვლეს წარმოადგენს შესაბამისი ახალი მუნიციპალიტეტი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ახალი ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის გაუქმებული მუნიციპალიტეტების (ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის) მიერ აღებული ვალდებულებების გადაცემის მიზნით, უფლებამონაცვლე ახალი მუნიციპალიტეტის დასახელების, ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის, საგადასახადო და საბანკო რეკვიზიტების განსაზღვრასთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და შპს „რომპეტროლ საქართველოს“ შორის 2016 წლის 23 დეკემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №323 ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. შეიცვალოს ხელშეკრულების პრეამბულა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ერთი მხრივ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდგენილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ლაშა გოგიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „რომპეტროლ საქართველო“ (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ზამანბეკ მირზაიანოვის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20<sup>2</sup> მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“

სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის №11 ბრძანების, „2016 წელს ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 დეკემბრის №2584 განკარგულებისა და „2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის-დიზელი (არაუმეტეს 10 PPM) გატანა ავტოგასამართი სადგურიდან, საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე“.

2. შეიცვალოს ხელშეკრულებაში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რეკვიზიტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია; იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90; საიდენტიფიკაციო კოდი: 220418956; საბანკო რეკვიზიტები: მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი: TRESGE22; ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022“.

3. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.

4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან (ორი ეგზემპლარი შემსყიდველთან, ხოლო ერთი პირი მიმწოდებელთან).

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია  
იურიდიული და ფაქტიური მისამართი:  
ქ. ზუგდიდი, რუსთაველძს ქ. №90  
საიდენტიფიკაციო კოდი: 220418956  
საბანკო რეკვიზიტები:  
მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა  
ბანკის კოდი: TRESGE22  
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022

შპს „რომპეტროლ საქართველო“  
იურიდიული და ფაქტიური მისამართი:  
ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. №19  
საიდენტიფიკაციო კოდი: 204493002  
საბანკო რეკვიზიტები:  
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“  
ბანკის კოდი: UGEBGE22  
ანგარიშის ნომერი: GE79VT6600000090303602

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი:

შპს „რომპეტროლ საქართველოს“ გენერალური დირექტორი:

..... /ლ. გოგია/

...../ზ. მირზაიანოვი/